გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N32 (9319) 20 ნოემბერი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

ისე მიდიან, სახლს არ ამიშენებენ?!

3

საკრებულოს სხდომა განსხვავებული ფორმატით

2

23 ნოემბერს გიორგობაა, გილოცავთ!

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი

6

სამტრედიელი ვიზაჟისტი "მერსედეს ბენც ფეშენ ვიკის" დასკვნით შოუში მონაწილეობდა

4

მუსლიმურ იზოლაციაში მოქცეული საქართველო

მეორეკლასელთა გუნდის მორიგი წარმატება "ტვინების ბრძოლაში"

5

მე ვმეგობრობ წიგნთან, შენ?

საკრებულოს სხდომა განსხვავებული ფორმატით

ლევან გაბეჩავა

მორიგი სხდომა გამართა 12 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. მოისმინეს ინფორმაციები მერიის სამსახურების მიერ მიმდინარე 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და ცალკეულ წევრთა (მაჟორიტარი, პარტიული სიით არჩეული) ანგარიშები, ასევე, მიმდინარე 2019 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე.

ვნებათაღელვა და შესაბამისად კამათი პოზიცია-ოპოზიციას შორის მაშინ წარმოიშვა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშს რომ ისმენდნენ. ბატონმა ემზარ შუბლაძემ სამსახურის უფროსს, შესაბამისად სამსახურსა და ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი ქმედითობისაკენ მოუწოდა, კერძოდ, იმ საკითხით დაინტერესებისათვის, რომელიც აეროპორტთა გაერთიანებიდან მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შემოსასვლელ თანხებს უკავშირდებოდა.

საკითხი მუშაობის პროცესშია, მისი მოგვარებით ჩვენც დაინტერესებული ვართო, უპასუხეს ბატონ ემზარს.

ბატონი ავთანდილ სტურუა კულაშის ყოფილი ზოოვეტერინარული ტექნიკუმის შემდგომი ბედით დაინტერესდა. აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ უნიკალური ტერიტორიის გადასარჩენად, სარეაბილიტაციოდ და ისევ ხალხის სამსახურში ჩასაყენებლადო.

მდინარე გუბისწყლიდან ხრეშის მოპოვებისას ცალკეული კომპანიების მხრიდან დარღვევებზე (რასაც შეიძლება, უმძიმესი შედეგებიც მოჰყვეს) ისაუბრა ბატონმა ალექსანდრე ჯვარშეიშვილმა. 15-20 მეტრი სიღრმიდან ხდება ხრეშის ამოღება, როცა დასაშვები ნორმა 1-1,5 მეტრია, აღნიშნა მან.

კრიტიკული და საქმიანი წინადადებებით გამოვიდნენ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატები: დავით ამაღლობელი, ტარიელ თევზაძე, აკაკი მინაშვილი და სხვები.

გაწეული მუშაობისათვის მადლობა განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ დაიმსახურა, რომელმაც მისი მისამართით გამოთქმული სამადლობელი თანამშრომლებისაკენ გადაამისამართა. რომ არა მათი თავდადება, არაფერი იქნებოდაო. _ აღნიშნა მან. უდავოდ მისასალმებელია ყოველივე.

განსხვავებული ფორმატით წარმართული საკრებულოს სხდომა ლამის 4 საათს გაგრძელდა, სხდომა თუნდაც იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ საუკეთესოდ გამოვლინდა ყველას შესაძლებლობები, საქმისადმი დამოკიდებულება. ვიქნებით გულახდილნი და ვიტყვით, მოვისმინეთ ქალბატონ ლიზა კრავეიშვილის შინაარსიანი, დეტალურად გაშიფრული და აღნუსხული ანგარიში მის მიერ რწმუნებული ფრაქციისა და მისი, როგორც საკრებულოს წევრის, მუშაობას, რომ ეხებოდა. აშკარა იყო თითოეული პრობლემისადმი ღრმა წვდომა, რიგ საკითხთა შესახებ მოგვარების გზებს თავადვე ასახელებდა.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ლეჟავას, ანგარიში. ყოველდღე 40 ამომრჩეველთან მიწევს შეხვედრა და ვაი ასეთ შეხვედრასო. _ აღნიშნა ბატონმა გიორგიმ. ხალხი, ამომრჩეველი სამადლობელს არ იშურებს გაკეთებულისათვის, თუმცა საყვედურების მოსმენაც მიწევს დასაქმების ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების გამო, თვითკრიტიკული და ობიექტური იყო ამ განცხადებისას ბატონი გიორგი ლეჟავა.

პარალელურად მოვისმინეთ (გასაგები მიზეზების გამო, გვარებს არ დავასახელებთ) ზედაპირული ანგარიშებიც, რომლებიც თითქმის არაფრის მთქმელი იყო და ტყუპი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

დაბოლოს, ხანგრძლივი სხდომა დასრულდა. როგორ შეიძლება შეფასდეს იგი? რა თქმა უნდა, კარგია, როცა სხდომის პროცესში ყველა დეპუტატი მონაწილეობს, უფრო მეტად კარგი და სასურველია მათი აქტივობა იმ უბნებზე, იმ თემებში, დაბასა თუ ქალაქში, რომელთა მოსახლეობამაც მათ ნდობა გამოუცხადეს და ხმა მისცეს.

ხალხი ბრძენია. მათ ყველაზე უკეთ უწყიან, ვინ რას, როგორ აკეთებს.

დაბოლოს, საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ ინიციატორი სხდომა ამგვარ ფორმატში წარმართულიყო.

გზა, რომელიც მიგვიყვანს ზანდოს მონასტრამდე

მისასვლელი გზა, სოფელ ჭოგნარში გამოჩინებულის მიმართულებით, ამ სოფელს ქალაქის ცენტრთან რომ აკავშირებს, სხვა სოფლების მსგავსად აქაც მწყობრში დგება. ბოლო პერიოდში დაწყებული ტენდენცია, სოფლებში ბეტონის გზის დაგებისა, აქაც სისრულეში მოდის. როგორც თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შავლეგო თარგამაძე აღნიშნავს: "ეს გზა პრიორიტეტი გახლდათ სოფლისთვის. გარდა იმისა, რომ სოფელს ქალაქთან აკავშირებს, იგი ზანდოს მონასტრისკენ მიდის. ამიტომ მისი მოწესრიგება უპირველესად მოსაგვარებელ საკითხთა შორის უპირველესი გახლდათ."

გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, სამუშაოებს "დეინდფენეტ ბიზნეს გრუპი" აწარმოებს. ეს კომპანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველად მონაწილეობდა ტენდერში და გამარჯვებაც ხვდა წილად. მისი დირექტორი ენრი ჭიპაშვილი აცხადებს: "იმიტომაც, რომ ეს ჩვენი პირველი შესრულებული სამუშაო იქნება თქვენს მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით მობილიზებულები ვართ მის ხარისხიანად შესრულებაზე. 1 კილომეტრსა და 60 მეტრზე დავაგებთ ბეტონის გზას 4 მეტრის განით და 16 სმ-ის სისქით. მოვაწესრიგებთ გვერდულებს, ხიდ-ბოგირებს." კომპანია ახალი დანადგარით, ვიბროლარტყით მუშაობს, რომელიც, მართალია, იშვიათობა არ არის მსგავსი კომპანიებისთვის, მაგრამ სამუშაოებს განსაკუთრებული ხარისხით ასრულებს.

გზის საფარის მოსაწესრიგებლად თანხა ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონალური განვითარების ფონდის თანადაფინანსებით გამოიყო და იგი 130 ათას ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია საუბრობს იმაზე, რომ გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნულმა სამშენებლო კომპანიამ სამუშაოები გვიან დაიწყო. მიუხედავად ამისა, მით უმეტეს, რომ ეს პრობლემები სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბრალი არ გახლდათ, ტენდერის პირობებით განსაზღვრულ ვადებში ჩატევა მაინც მოეთხოვებათ, რადგან: "ზამთარი მოდის და როგორმე უნდა მოახერხონ სამუშაოების დროულად დასრულება. გვპირდებიან, რომ ასეც იქნება. ჩვენც უნდა ვენდოთ და ხელიც შევუწყოთ, რომ განსაზღვრული ვადები დაცული იყოს. მართალი გითხრათ, მათთან გარკვეული შენიშვნებიც გვქონდა, თუნდაც სამუშაოების გვიან დაწყების გამო."

იდენტური პირობებით მიმდინარეობს გზის საფარის დაგება გორმაღალშიც.

მოსახლეობისა და ოპოზიციას გულისწყრომა, რომ ბოლო პერიოდში გზებზე დაგებული ბეტონის საფარი ვიწრო განისაა, ამიერიდან ვეღარ ექნებათ, რადგან პროექტში შეტანილი ცვლილებებით დაგებული გზების განი 4 მეტრამდე გაიზარდა, რაც სრულიად საკმარისია, ორმა მანქანამ ერთმანეთს გვერდი აუაროს.

თეა გაგუნაველი

მზაღება ზამთრის სეზონისთვის ხიდბოგირების მაწმენდით დაიწყო

სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდბოგირები და სანიაღვრე არხები ზამთრის სეზონის მოახლოების წინ კაპიტალურ აღდგენა-რეაბილიტაციას საჭიროებს, მით უმეტეს, ისეთ მაღალმთიან თემებში შემავალ სოფლებში, როგორებიცაა გამოჩინებული, ტოლები, გორმაღალი, საჯავახო და გომი. კომპანია "ახალმშენი", რომელიც აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს, გეგმა-გრაფიკის მიხედვით მოქმედებს და სამუშაოს შესრულების ვადების დაცვის პრობლემა არ იქნება. "ეს საკმაოდ გამოცდილი კომპანია გახლავთ. მეზობელი მუნიციპალიტეტების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი სამუშაო ხელწერა საკმაოდ კარგია, იგულისხმება როგორც სამუშაოთა შესრულების ხარისხი, ასევე ვადების დაცვა. ამ კომპანიასთან ხელშეკრულება არა ტენდერის, არამედ პირდაპირი შესყიდვის წესით გვაქვს გაფორმებული." _ აღნიშნა ზემო ნოღაში მუშა პროცესის დასათვალიერებლად ჩასულმა მუნიციპალიტეტის მერმა. რაც შეეხება შესასრულებელი სამუშაოების მოცულობას, იგი 160 ათასი ლარის ფარგლებში სტიქიის სალიკვიდაციო ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შესრულდება და სანიაღვრე არხებისა და ხიდ-ბოგირების გაწმენდას, თუ საჭირო იქნა, მათ ახლით შეცვლას, ამასთანავე, გზების მოხრეშვა-დაგრეიდერებას გულისხმობს.

შპს "ახალმშენის" ხელმძღვანელად მინდობით მივლენილი პირი გოჩა თოდრია საკუთარ თავზე იღებს აღებული პასუხისმგებლობის ხარისხიანად შესრულების საკითხს და ვადებით გათვალისწინებულ დროში, ანუ 20 დეკემბრამდე, ყველა სამუშაოს დასრულების პირობას დებს.

ინფრასრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია დეტალურად საუბრობს იმაზე, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამუშაოები ზამთრის სეზონის წინ გაღმა ზონის მაღალმთიან სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობს: "ყველაზე მეტი მოცულობის სამუშაო ტოლების თემში შესრულდება. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია ამ სოფლებში, რადგან უხვი ნალექის პირობებში მეწყერსაშიში ეს ზონა ხშირად ხდება სოლიდური დაზიანებების კერა. ამიტომ, ზამთრისთვის მზადების წინ უპირველესად წყალგამტარი სისტემა უნდა იქნეს მწყობრში, რათა მოსახლეობამ მნიშვნელოვანი ზარალი არ ნახოს."

სამუშაოთა მიმდინარეობას როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები და უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერი, ასევე თემის ხელმძღვანელებიც ყოველდღიურ რეჟიმში ადევნებენ თვალს უსიამოვნო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად.

თეა გაგუნაველი

თეა ბაბუნაშვილი

როგორმე აქედან გაგვაღწევინეთ _ ეს გახლდათ პირველი წინადადება მისალმების შემდეგ, რითაც დევნილთა, შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის მინისტრ ეკატერინე ტოკარაძეს სამტრედიაში, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილები შეეგებნენ. სამტრედიამდე ეკატერინე ტოკარაძე საკუთარ მოადგილესთან და დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის უფროს ბესარიონ სვიმონიშვილთან ერთად ზესტაფონსა და ქუთაისში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა და პირველ რიგში გადასაწყვეტ პრობლემებზე ესაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში იმერეთში და არა მხოლოდ იმერეთში, საცხოვრებელი ბინებით მათი დაკმაყოფილების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, ამ კუთხით პრობლემები ჯერ ისევ მრავლადაა. 2020 წლისთვის ქუთაისში 725, წყალტუბოში კი 560 ოჯახის ბინით დაკმაყოფილება იგეგმება. თუმცა, ეს საკითხის საბოლოოდ მოგვარებისთვის საკმარისი ჯერ ისევ არ არის.

სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, სამტრედიაში ბალნეოლოგიური კურორტის სრულად ამორტიზებული შენობა სიცოცხლისთვის სახიფათოა. ამიტომ იქ მცხოვრები დევნილების მოთხოვნები კატეგორიული გახლდათ. იქამდე კატეგორიული, მივადგებით ენგურის ხიდს და წავალთ, აქ სიკვდილს იქ სიკვდილი გვირჩევნია, ჩვენ აქ იძულებით ვართ, თორემ საკუთარი სახლები გაცილებით კომფორტული და ფეშენებელური გვქონდა, ვიდრე აქ არისო, _ ამბობდნენ.

როგორც ბესარიონ სვიმონიშვილმა დევნილებს აუხსნა, 2020 წლიდან მასშტაბური სახე მიეცემა ახლადაშენებულ ბინებში მათ შესახლებას. და ეს არა კატეგორიების, არამედ სულადობის მიხედვით მოხდება. წინასწარ იმის თქმა, 2020 წელს რომელი ობიექტიდან დაიწყება განსახლება, შეუძლებელია, რადგან საკითხი კომისიურად გადაწყდება _ აუხსნეს შეკრებილებს. "თუ დევნილების განსახლებაზე ვინმეს რამე შეუძლია განაცხადოს, ეს უპირველესად მე და ჩემი მოადგილეები გახლავართ. ამიტომ, ნუ აყვებით ჭორებს, განსახლება წესისა და რიგის სრული დაცვით მოხდება და ერთნაირ პირობებში ჩავაყენებთ ნებისმიერ რაიონსა და რეგიონში მცხოვრებ დევნილებს. ჩვენ უშუალოდ თქვენთან მოვედით პრობლემებში გასარკვევად. ბუნებრივია, გვესმის, რომ საკმაოდ ბევრი საკითხი დაგროვდა, მაგრამ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება უპირველესია მათ შორის. უნდა გვენდოთ, რომ ჩვენი მხრიდან ყველა ზომა იქნება მიღებული ამის დასარეგულირებლად." _ განაცხადა შეხვედრაზე მინისტრმა.

"ჩვენ ვიცით, რომ ეს ობიექტი არის ნგრევადი. სამინისტროს ცალსახად აქვს მიღებული გადაწყვეტილება, რომ აქედან უნდა მოხდეს მობინადრეების განსახლება. ამაზე მზაობას გამოვხატავთ." _ ითქვა შეხვედრაზე.

გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობებში სულ მალე შეიქმნება სპეციალური სამსახურები, რომლებიც ერთგვარი მაშველი რგოლი იქნება სამინისტროსა და დევნილებს შორის ინფორმაციული ვაკუუმის ამოსავსებად. პირველი დეკემბრიდან იმერეთის რეგიონში უკვე იქნება შესაბამისი წარმომადგენლობა, რომელიც რაიონებიდან მიღებულ ინფორმაციას სამინისტროს მიაწვდის. გარდა ამისა ფუნქციონირებს გადამზადების კურსები და სხვა პროგრამები, რათა დევნილებმა ან საკუთარი მცირე ბიზნესის, ან სხვა ტიპის განვითარება და თვითდასაქმება შესძლონ. ამ პროგრამებით 3 ათასმა დევნილმა უკვე ისარგებლა.

"ღია დიალოგის ფარგლებში დღეს იმერეთში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებთან შეხვედრაზე ბევრი საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ ვისაუბრეთ. მოგეხსენებათ, საცხოვრებელი ფართებით მათი დაკმაყოფილების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. პირველ რიგში ბინებით ის ოჯახები დაკმაყოფილდებიან, ყველაზე ცუდ პირობებში რომ ცხოვრობენ. ეს ნიშნავს, რომ უპირველესად მოხდება ნგრევადი და სიცოცხლისთვის საშიში ობიექტების დახურვა." _ განაცხადა ბესარიონ სვიმონიშვილმა.

შეხვედრის დასრულებისას ეზოში მოთამაშე სამი წლის დანიელ ხარშილავამ გასტირა სტუმრებს _ ისე მიდიან სახლს არ ამიშენებენ?! დაპირებაც მიიღო, რომ 2020 წლიდან ყოველდღე უნდა ელოდოს ახალ სახლს. მთავარია მის სისრულეში მოყვანას ბევრი არ დააგვიანდეს, რადგან, როგორც სამხარაულის ბიურო ასკვნის, ახლანდელ სახლში არც მისი და არც სხვისი ცხოვრება შეიძლება. ენგურის ხიდზე კი, გზა ნამდვილი სახლისკენ, სამწუხაროდ ჯერ ისევ შორია!

70-იან წლებში გაჭრილი სანიაღვრე არხი ახალ მიმართულებას იღებს

ხუთი პროექტიდან სტიქიის პრევენციისთვის რომ დააფინანსა სახელმწიფომ შესაბამისი ფონდიდან გამოყოფილი თანხით, ოთხი უკვე დასრულებულია. გაიწმინდა მდინარე ჭურთავასა და ლოღობას კალაპოტი, სოფელ მთისძირში სანიაღვრე არხი, ხოლო გომში, რუსიების უბანში გაბიონი მოეწყო. მეხუთე პროექტის, თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოების დასრულების თარიღი ტენდერით გათვალისწინებული ნორმებით 10 დეკემბერია. სამუშაოების სისრულეში მოყვანისთვის 129 ათასი ლარია გამოყოფილი. 70-იან წლებში გაჭრილი ეს არხი თამარ მეფის ქუჩაზე წლებია გაუწმენდავი გახლდათ. ამჯერად სამუშაოები, რომლებსაც შპს "ერბი" ასრულებს, კობა შუბლაძის ხელმძღვანელობით, მის კაპიტალურად გაწმენდვას გულისხმობს. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია აცხადებს, რომ: "არხის გაწმენდისას საჭირო გახდა პროექტში რიგი ცვლილებების შეტანა. თავის დროზე გაჭრილი ამ დახურული სანიაღვრე არხის ნაწილი დარჩა ისე, როგორც იყო, ნაწილს კი, რადგან სკვერის მიმდებარედ ტროტუარს ჭრიდა, მდებარეობა შეეცვალა. ამჯერად მისი ეს მონაკვეთი თავიდან უნდა გაიჭრას ახალი კალაპოტით. აქედან გამომდინარე, სამუშაოები ამ ობიექტზე გაცილებით შრომატევადია და დასასრულებლადაც მეტ დროს მოითხოვს."

ზამთრის სეზონის წინ სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების გაწმენდა უპირველესად საჭიროა, რათა ქალაქის როგორც ცენტრალური ნაწილი, ისე მისი გარეუბნები არ დაიტბოროს. მოგეხსენებათ, ეს უკვე წლებია ქალაქის აქილევსის ქუსლია და ყოველწლიური მცდელობის მიუხედავად კვლავ პრობლემად რჩება.

თეა ბაბუნაშვილი

14 ნოემბერი დიაბეტის მსოფლიო დღეა!

2004 წლიდან დიაბეტის მსოფლიო ფონდი ყოველწლიურად აწყობს მსვლელობას სლოგანით "ერთად გადავდგათ ნაბიჯი დიაბეტის დასამარცხებლად".

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალი შეუერთდა ამ გლობალურ აქციას და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების რეგიონული ოფისიდან ქალაქის ცენტრის მიმართულებით 14-დან 16 საათამდე მსვლელობა ჩაატარა. მოხალისეებმა გაავრცელეს ფლაერები სლოგანით: "ერთად გადავდგათ ნაბიჯი დიაბეტის დასამარცხებლად". ასევე მოხალისეები გაეცნენ დიაბეტის შესახებ ფილიალში არსებულ საინფორმაციო მასალებს.

ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდას დიაბეტის პრევენციისა და დაავადების სერიოზული გართულებების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

ნათია პაპავა
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი

მრგვალი მაგიდა _ "თანაბარი შესაძლებლობები შშმ პირთათვის"

12 ნოემბერს მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა საჭიროებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდამჭერი სერვისების თემაზე მრგვალი მაგიდა გამართა.

პროექტისა და მრგვალი მაგიდის მიზნების შესახებ გამგეობის თავმჯდომარემ, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის წარმომადგენელმა ლიკა კილაძემ ისაუბრა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სერვისები შეკრებილ საზოგადოებას მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ლევან ახობაძემ გააცნო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე დაფუძნებული სერვისების შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა დღის ცენტრის კოორდინატორმა სოფიო კუპატაძემ.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მრგვალი მაგიდის მონაწილეებს ვალერიანე ფოცხვერიამ სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების შესახებ ისაუბრა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, მოსახლეობის, დაახლოებით, 15% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ამასთან, საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 3%-ია რეგისტრირებული შშმ პირად სოციალური მომსახურების სააგენტოში. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, სოფლად მცხოვრები შშმ პირები არიან სოციალურად და პოლიტიკურად "უხილავები". მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის ძალისხმევის მიუხედავად, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შშმ პირთა მონაწილეობა არის ფორმალური. არსებული სერვისები კი საჭიროებს გაუმჯობესებას სტანდარტებისა და დაფარვის არეალის კუთხით.

მრგვალი მაგიდა ევროკავშირის პროექტის "თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის" ფარგლებში გაიმართა.

ნინო ნანიტაშვილი

შეხვედრა ფერმერებთან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 14 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეხილეობის სპეციალისტმა ზვიად ბოჭორიშვილმა პროექტი "დანერგე მომავალი" კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტში მონაწილეობის მსურველ ფერმერებთან შეხვედრა გაიმართა. პროექტი ითვალისწინებს 0,15-დან ნახევარ ჰექტრამდე კენკროვანი კულტურების, კერძოდ, ლურჯი მოცვის, ჟოლოსა და უეკლო მაყვლის ბაღების გაშენებას სრული დაფინანსებით.

ფერმერებთან ტრენინგზე ზვიად ბოჭორიშვილმა ყურადღება გაამახვილა კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანაზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველი ეტაპი 35-მა ბენეფიციარმა გაიარა, რაც გულისხმობს დოკუმენტაციის შეგროვებას და ნიადაგის ანალიზის აღებას. სულ გასაშენებელი ფართობია 12,4 ჰექტარი.

კენკროვანი კულტურების დაფინანსების პროექტი გრძელდება. იმ შემთხვევაში თუ მსურველთა ჯამური ფართობი 20 ჰექტარს გადააჭარბებს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოს აშენებაა მოსალოდნელი.

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიელი ვიზაჟისტი "მერსედეს ბენც ფეშენ ვიკის" დასკვნით შოუში მონაწილეობდა

ნათია ნაცვლიშვილი

"მერსედეს ბენც ფეშენ ვიკი" ყოველწლიურად სოფო ჭყონიას პატრონაჟით იმართება. მასში ახლახან მონაწილეობა მიიღო ქუთაისელ ვიზაჟისტთა ჯგუფმა, ამ ჯგუფში სამტრედიის სილამაზის სალონ "პარიზის" მფლობელი, მაკა გელეიშვილიც იყო მიწვეული. ამ საინტერესო დღის შთაბეჭდილებების გაზიარება მაკა გელეიშვილს ვთხოვეთ:

" პროფესიონალური ვიზაჟის ხელოვნებას საქართველოს ვიზაჟის ინსტიტუტში დავეუფლე, ეს ინსტიტუტი ქრისტინა რეჯინმა დაარსა, რომელიც არის IUM-ის, ანუ ვიზაჟისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საქართველოს მეიქ აფ ინსტიტუტი (MIC) არის "მერესდეს ბენც ფეშენ ვიკის" ოფიციალური პარტნიორი, სწორედ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები მუშაობენ ფეშენ ვიკის ბექსტეიჯში, ეს არის ყველა ვიზაჟისტისათვის უმთავრესი გამოწვევაც და გამოცდილებაც, ჩვენი ჯგუფი წარმოდგენილი იყო დახურვაზე, ეს არის ქუთაისის გუნდი, სამტრედიიდან გახლდით, როგორც ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მიგვიწვიეს წარმატებული კურსდამთავრებულები, ვიმუშავეთ დასკვნით შოუზე 5 დიზაინერთან ერთად, იყო არჩევულებრივი სამუშაო გარემო. ვიმუშავეთ ცნობილ მოდელებთან, დავიხარჯეთ მაქსიმალურად, ეს იყო საინტერესო გამოწვევა, რასაც ყველა ღირსეულად გავუმკლავდით, სამუშაო გარემო იყო შესანიშნავი. "მერსედეს ბენც ფეშენ ვიკი" არის არაჩვეულებრივად ორგანიზებული, პირადად მე ძალიან ვამაყობ, რომ ვარ იმ გუნდის წევრი, რომელსაც "mac up institut gorgia" ჰქვია"

ემიგრანტის ფიქრები

მუსლიმურ იზოლაციაში მოქცეული საქართველო

მოგესალმებით დიდი პატივისცემით სტამბულიდან, უკვე 9 წელი დაუსრულებელი სავალდებულოდან. ცხოვრება ბევრი მოულოდნელობებითაა სავსე. ყოველ შაბათ-კვირას იგეგმება ღონისძიებები, შეხვედრები ემიგრანტებთან, კონცერტები, პოეზიის საღამოები და სხვა მრავალი.

გასულ კვირას სტამბულის რაიონ სარიერში გაიმართა სტამბულში მცხოვრები ოთხი თაობის (ძველი თურქეთელი ქართველების) და ემიგრანტების შეხვედრა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ სტამბულში შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ცენტრ "ვეფხისტყაოსნის" წევრები. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის დამფუძნებელია სეზენ გონენჯ ოკჯან, იგივე სალომე ბარამიძე (ადვოკატი), ორჰან ბერიძე, ეშრეფ ილმაზ-მახარაძე, მუსტაფა იელქენჯი _ მახარაძე. მათ შექმნეს "ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი ვერსია.

ემიგრანტებმა წიგნში საკუთარი ხელით ჩაწერეთ პოემის

სტროფები. შეკრების კიდევ ერთი მთავარი მიზანი ახალი ორგანიზაციის "იასამანის" დაფუძნება იყო. ამ იდეის ავტორები და სულისჩამდგმელები თურქეთში მცხოვრები სოფიო ბოლქვაძე და ბათუმელი ადვოკატი ლელა ბჟალავა არიან.

ეს ორგანიზაცია სტამბულის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრთან ერთად იზრუნებს ემიგრანტების საერთო პრობლემებზე. შეძლებისდაგვარად დახმარებას და თანადგომას გაუწევს ემიგრანტებს.

ძალიან თბილი შეხვედრა იყო. შესრულდა სიმღერები, ლექსები, წაიკითხეს ემიგრანტების წერილები, რასაც უემოციოდ და უცრემლოდ არ ჩაუვლია. გავეცანით თურქულად თარგმნილ ქართველი მწერლების წიგნებს. შემონახულია ისეთი ცნობები, რომელთა მნიშვნელობა უაღრესად დიდია ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. იყო კითხვები, რასაც ამომწურავი პასუხები გაეცა. ვინც ჩაწერა წიგნში სტროფები, მათ სიგელები გადაეცა.

დრო გადის, ვეცადოთ ცხოვრება შევცვალოთ,
ღრუბლები გავფანტოთ სევდიან ფიქრების,
სატანჯველ ცხოვრებას როდემდე ვეწამოთ,
ჩვენ, ემიგრანტები, ოჯახებს ვჭირდებით.

ნატალი ეგრისელი

მე ვმეგობრობ წიგნთან, შენ?

ლევან გაბეჩავა

ასე ერქვა 14 ნოემბერს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართულ მკითხველთა კონფერენციას, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ლამარა დუნდუამ გახსნა, იგი შეკრებილთ მიესალმა და ახალგაზრდებს წიგნის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის ისტორიასა და ზოგადად, წიგნთან მეგობრობაზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ.

ნიკოლოზ ნიკურაძე, ელენე ჩუბინიძე, მარიამ ფილიშვილი, მარიამ რამიშვილი, ბესო კახიანი, ქრისტინე ნიკურაძე, შოთა კანდელაკი, თემურ გერაძე, ბარბარე ნიკურაძე _ ეს ის მოსწავლეები არიან, რომელთაც ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და შესანიშნავი კომპოზიცია წარმოადგინეს, რომელიც ბიბლიოთეკის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის იზაბელა ლეგაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა.

როგორც ყოველთვის ამჯერადაც საინტერესო იყო ლუკა ტულუშის გამოსვლა. პათოსით წაიკითხა საკუთარი ლექსი, ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლემ სოსო ვეზდენმა. ლექსი უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეძღვნება. მუსიკალური ნომრითაც წარსდგა სოსო ვეზდენი დარბაზის წინაშე და მოწონებაც დაიმსახურა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ჯგუფმა და ცალკეულმა შემსრულებლებმა ღონისძიება მუსიკალური ნომრებით დაამშვენეს, მადლობა მათ, მათ პედაგოგებს.

საღამოს წამყვანმა მიულოცა პოეტ ქალბატონს, მაყვალა ჩირგაძეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობა და წარმატებები უსურვა სამწერლო ასპარეზზე. თავის მხრივ ქალბატონმა მაყვალამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ინიციატორებს, მონაწილეებს და ახალგაზრდებს საკუთარი ლექსით მიმართა.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს და ახალგაზრდებს წიგნთან მეგობრობისაკენ მოუწოდეს, წიგნის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ №2 საჯარო სკოლის პედაგოგი ჯუმბერ ლაგაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი, პედაგოგი ალექსანდრე თევზაძე, პოეტი მერაბ ჩაჩავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჟავა.

ღონისძიება შეაჯამა და მის მონაწილეებს, ბიბლიოთეკის მესვეურთ განსაკუთრებული მადლობა მოახსენა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერმა ტარიელ დვალიშვილმა.

"კაცთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს" _ ბრძანებდა დავით აღმაშენებელი.

იმეგობრეთ წიგნთან! ამ სურვილით დაემშვიდობნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები 14 ნოემბერს მუნიციპალიტეტის სამკითხველო დარბაზში შეკრებილ ახალგაზრდებს.

მეორეკლასელთა გუნდის მორიგი წარმატება "ტვინების ბრძოლაში"

ნათია ნაცვლიშვილი

მეორე საჯარო სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე თამაშში "ტვინების ბრძოლა". წლეულს მეორე სკოლაში გამართულ პირველ ტურში მონაწილეობდნენ "რა? სად? როდის?" სასკოლო თამაშებში მონაწილე მეორე სკოლის გუნდი "ენიგმა" და სხვადასვა კლასის გუნდები. დებულება 15 შეკითხვის დასმას ითვალისწინებს, კომპანიის წარმომადგენლები მოთამაშეებს თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე უგზავნიან შეკითხვებს. ამჯერად თამაშის წამყვანის მისია სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგმა, ვიკა ვეკუამ იკისრა. გაიმარჯვა გუნდმა ენიგმამ და მოიპოვა ქუთაისში გამართულ თამაშში "ტვინების ბრძოლაში" მონაწილეობის უფლება. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 10 ნოემბერს გამართულ საკმაოდ პრესტიჟულ, ნახევარფინალურ შეხვედრაში მონაწილეობდნენ წყალტუბოს, სამტრედიის და სხვა მუნიციპალიტეტების და ქალაქ ქუთაისის საჯარო თუ კერძო სკოლების გამარჯვებული გუნდები.

ჩვენს მუნიციპალიტეტს ამ ნახევარფინალში მხოლოდ მეორე საჯარო სკოლა წარმოადგენდა. მეორე სკოლის გუნდმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მონაწილე 145 გუნდს შორის დაიკავა მეოთხე ადგილი.

"სამტრედიის მაცნეს" ესაუბრა მეორე სკოლის გუნდის კაპიტანი, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, თემურ გერაძე:

"ზოგადად ჩვენი სკოლა აქტიურად ღებულობს მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში და ყოველთვის გარკვეულ წარმატებებს აღწევს. ამჯერადაც ხელიდან არ გავუშვით შანსი, კიდევ ერთ ინტელექტუალურ კონკურსში გამოგვეცადა ჩვენი შესაძლებლობები. კითხვები თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა: ხელოვნება, ლიტერატურა, კინემატოგრაფია, საზოგადოება, სპორტი. ამ კონკურსს ვეძახით გამოცდას, სადაც არასდროს იცი, რა შეგხვდება. პროცესი აზარტულად და მხიარულად წარიმართა, გონებაშიც ცოდნის მარცვლები დავაგროვეთ, რომელი გუნდიც ბევრ სწორ პასუხს გასცემდა, მოიპოვებდა ქუთაისში ნახევარფინალურ თამაშში მონაწილეობის უფლებას. 15 კითხვიდან 13 სწორი პასუხის ავტორი, გუნდი "ენიგმა" გადავიდა ნახევარფინალში. იქ კი, 15 კითხვიდან 12 -ს გავეცით სწორი პასუხი. გულდასაწყვეტი იყო, რომ მიუხედავად, ჩვენს მიერ ნაჩვენები მაქსიმალური შედეგისა, ვერ დავაბრუნეთ თასი წლეულს ჩვენს სკოლაში, ვგულისხმობ შარშანდელ მოგებას, როცა ნახევარფინალური შეხვედრა მოვიგეთ და თასი სკოლაში წამოვიღეთ. დაგვჯაბნა ძალიან ღირსეულმა, ქუთაისის ფიზიკა მათემატიკური სკოლის გუნდმა რომელმაც 15 დან 13 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი. ასპარეზობის მომდევნო ეტაპზე, რომელიც 17 ნოემბერს 17 საათზე აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში გაიმართა, ჩვენმა გუნდმა საბა ართქმელაძის, თამთა კეკელიძის, ლუკა სანიკიძის, ნიკა იაკობაშვილის და ჩემი შემადგენლობით საქართველოს ჩემპიონობისთვის სხვა ტიტულოვან გუნდებთან ერთად იბრძოლა, შეხვედრაში მონაწილეობდენ საქართველოს მასშტაბით შერჩეული საუკეთესო გუნდები. ერთდროულად ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში ჩატარდა კონკურსი, სამწუხაროდ, თუ სასიხარულოდ, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით დავიკავეთ მესამე ადგილი, საბოლოო ცხრილში კი, მეექვსე პოზიციას დავჯერდით. მადლობა ჩვენს სკოლის დირექტორს თეა კარტოზიას თანადგომისათვის, სკოლამ დაგვიფინანსა მგზავრობისა და ტურნირში მონაწილეობის ხარჯები. ჩვენ შევეცდებით ჩვენს სკოლას მადლობა კიდევ უფრო დიდი წარმატებით გადავუხადოთ, ვაგრძელებთ მზადებას სამტრედიის მემორიალისთვის, ჩვენს ქალაქს კვლავ ბევრ წარმატებას ვპირდებით."

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	მათ შორის: საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	მათ შორის: საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	მათ შორის: საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		16,097.6	16,947.8	5,084.4	11,863.4	19,813.5	7,384.9	12,428.6	13,394.0	190.0	13,204.0
შემოსავლები	1	15,871.9	16,787.8	5,084.4	11,703.4	19,733.5	7,384.9	12,348.6	13,306.1	190.0	13,116.1
არაფინანსური აქტივების კლება	31	225.7	160.0	0.0	160.0	80.0	0.0	80.0	87.9	0.0	87.9
შემოსავლები	1	15,871.9	16,787.8	5,084.4	11,703.4	19,733.5	7,384.9	12,348.6	13,306.1	190.0	13,116.1
გადასახადები	11	4,587.1	4,515.1	0.0	4,515.1	10,157.6	0.0	10,157.6	11,259.5	0.0	11,259.5
დღგ	11411		0.0			7,007.6		7,007.6	8,759.5		8,759.5
საშემოსავლო გადასახადი		1,207.0	1,107.2		1,107.2	0.0			0.0		
ქონების გადასახადი	113	3,380.1	3,407.9	0.0	3,407.9	3,150.0	0.0	3,150.0	2,500.0	0.0	2,500.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	1,880.8	2,173.5		2,173.5	2,232.0		2,232.0	1,582.0		1,582.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	252.0	-47.4		-47.4	0.0			0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	18.7	20.6	0.0	20.6	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
არაკომერციული საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე	1131132	17.5	20.6		20.6	10.0		10.0	10.0		10.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	159.3	193.6	0.0	193.6	105.0	0.0	105.0	105.0	0.0	105.0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	122.3	156.1		156.1	75.0		75.0	75.0		75.0
იურიდიული პირებიდან	1131142	37.0	37.5		37.5	30.0		30.0	30.0		30.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	1,069.3	1,067.6	0.0	1,067.6	803.0	0.0	803.0	803.0	0.0	803.0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	28.7	53.3		53.3	3.0		3.0	3.0		3.0
იურიდიული პირებიდან	1131152	1,040.6	1,014.3		1,014.3	800.0		800.0	800.0		800.0
გრანტები	13	8,206.3	9,776.1	5,084.4	4,691.7	7,384.9	7,384.9	0.0	190.0	190.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	8,206.3	9,776.1	5,084.4	4,691.7	7,384.9	7,384.9	0.0	190.0	190.0	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	4,690.1	4,683.6	177.5	4,506.1	187.0	187.0	0.0	190.0	190.0	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი		4,506.1	4,506.1		4,506.1	0.0			0.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების		184.0	177.5	177.5	0.0	187.0	187.0	0.0	190.0	190.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3,516.2	5,092.5	4,906.9	185.6	7,197.9	7,197.9	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		3,387.3	4,706.9	4,706.9		6,397.9	6,397.9		0.0		0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა			0.0	0.0		6600	660.0		0.0		0.0
სხვა განათლება		128.9	185.6	0.0	185.6	0.0	0.0		0.0	0.0	
კაპიტალური დანიშნულების გრანტები	1332			200.0		140.0	140.0				
სხვა შემოსავლები	14	3,078.5	2,496.6	0.0	2,496.6	2,191.0	0.0	2,191.0	1,856.6	0.0	1,856.6
შემოსავლები საკუთრებიდან	141	567.8	508.6	0.0	508.6	491.9	0.0	491.9	280.0	0.0	280.0
პროცენტები	1411	238.3	292.9		292.9	200.0		200.0	150.0		150.0
რენტა	1415	329.5	215.7	0.0	215.7	291.9	0.0	291.9	130.0	0.0	130.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	286.4	164.9		164.9	276.9		276.9	100.0		100.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვიდან (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	43.1	50.8		50.8	15.0		15.0	30.0		30.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	2,018.1	1,229.6	0.0	1,229.6	1,161.0	0.0	1,161.0	1,191.0	0.0	1,191.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	1,994.5	1,191.0	0.0	1,191.0	1,141.0	0.0	1,141.0	1,166.0	0.0	1,166.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	11.3	21.6		21.6	10.0		10.0	20.0		20.0
[illegible] საშუალების გადაადგილების	142212	0.4	0.4		0.4	1.0		1.0	1.0		1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	1,839.7	1,025.8		1,025.8	1,000.0		1,000.0	1,000.0		1,000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	143.1	137.8		137.8	125.0		125.0	135.0		135.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0	5.4		5.4	5.0		5.0	10.0		10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	23.6	38.6	0.0	38.6	20.0	0.0	20.0	25.0	0.0	25.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	23.6	38.6		38.6	20.0		20.0	25.0		25.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	489.9	729.2		729.2	538.1		538.1	385.6		385.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	2.7	29.2		29.2	0.0			0.0		
არაფინანსური აქტივების კლება	31	225.7	160.0	0.0	160.0	80.0	0.0	80.0	87.9	0.0	87.9
ძირითადი აქტივები	311	21.6	83.8		83.8	80.0		80.0	87.9		87.9
არაწარმოებული აქტივები	314	204.1	76.2	0.0	76.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიწა	3141	204.1	76.2		76.2	0.0			0.0		0.0

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	14,459.1	14,429.4	3,264.1	11,165.3	25,500.9	10,016.7	15,484.2	13,394.0	190.0	13,204.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,143.0	1,152.0	9.0	1,143.0	1,127.0	18.0	1,109.0	1,160.0	18.0	1,142.0
	ხარჯები	9,302.2	9,866.5	348.5	9,518.0	12,726.5	1,246.6	11,479.9	11,394.5	189.4	11,205.1
	შრომის ანაზღაურება	1,823.0	2,182.4	78.2	2,104.2	2,305.1	91.2	2,213.9	2,305.1	91.2	2,213.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,134.0	4,562.9	2,915.6	1,647.3	12,749.4	8,770.1	3,979.3	1,929.4	0.6	1,928.8
	ვალდებულებების კლება	22.9	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	70.1	0.0	70.1
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,551.8	2,956.0	88.6	2,867.4	3,780.5	102.6	3,677.9	3,977.5	99.3	3,878.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	171.0	177.0	9.0	168.0	186.0	18.0	168.0	186.0	18.0	168.0
	ხარჯები	2,495.0	2,870.0	88.6	2,781.4	3,309.2	96.3	3,212.9	3,393.4	99.3	3,294.1
	შრომის ანაზღაურება	1,823.0	2,182.4	78.2	2,104.2	2,305.1	91.2	2,213.9	2,305.1	91.2	2,213.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40.1	86.0	0.0	86.0	446.3	6.3	440.0	514.0	0.0	514.0
	ვალდებულებების კლება	16.7	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	70.1	0.0	70.1
01 01	საგანმანათლებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,551.8	2,885.5	88.6	2,796.9	3,626.3	102.6	3,523.7	3,644.1	99.3	3,544.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	171.0	177.0	9.0	168.0	177.0	9.0	168.0	177.0	9.0	168.0
	ხარჯები	2,495.0	2,799.5	88.6	2,710.9	3,180.0	96.3	3,083.7	3,130.1	99.3	3,030.8
	შრომის ანაზღაურება	1,823.0	2,182.4	78.2	2,104.2	2,305.1	91.2	2,213.9	2,305.1	91.2	2,213.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40.1	86.0	0.0	86.0	446.3	6.3	440.0	514.0	0.0	514.0
	ვალდებულებების კლება	16.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 01 01	სამტრედიის საკრებულო	617.1	693.3	0.0	693.3	860.1	0.0	860.1	852.0	0.0	852.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	25.0	26.0	0.0	26.0	26.0		26.0	26.0	0.0	26.0
	ხარჯები	611.2	685.4	0.0	685.4	808.9	0.0	808.9	806.0	0.0	806.0
	შრომის ანაზღაურება	482.1	555.2	0.0	555.2	606.4	0.0	606.4	606.4	0.0	606.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	7.9	0.0	7.9	51.2	0.0	51.2	46.0	0.0	46.0
	ვალდებულებების კლება	5.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 01 02	სამტრედიის მერია	1,829.6	2,090.9	0.0	2,090.9	2,631.5	6.3	2,625.2	2,657.7	0.0	2,657.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	137.0	142.0	0.0	142.0	142.0		142.0	142.0		142.0
	ხარჯები	1,778.7	2,014.0	0.0	2,014.0	2,238.4	0.0	2,238.4	2,191.7	0.0	2,191.7
	შრომის ანაზღაურება	1,260.9	1,549.0	0.0	1,549.0	1,600.0	0.0	1,600.0	1,600.0	0.0	1,600.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40.1	76.9	0.0	76.9	393.1	6.3	386.8	466.0	0.0	466.0
	ვალდებულებების კლება	10.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 01 03	ქონების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	105.1	101.3	88.6	12.7	134.7	96.3	38.4	134.4	99.3	35.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9.0	9.0	9.0		9.0	9.0		9.0	9.0	
	ხარჯები	105.1	100.1	88.6	11.5	132.7	96.3	36.4	132.4	99.3	33.1
	შრომის ანაზღაურება	80.0	78.2	78.2	0.0	98.7	91.2	7.5	98.7	91.2	7.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	1.2	0.0	1.2	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	70.5	0.0	70.5	154.2	0.0	154.2	333.4	0.0	333.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	9.0	9.0	0.0	9.0	9.0	0.0
	ხარჯები	0.0	70.5	0.0	70.5	129.2	0.0	129.2	263.3	0.0	263.3
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	70.1	0.0	70.1
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	68.0	0.0	68.0	200.0	0.0	200.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	68.0	0.0	68.0	200.0	0.0	200.0
01 02 03	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	0.0	68.6	0.0	68.6	63.0	0.0	63.0	110.2	0.0	110.2
	ხარჯები	0.0	68.6	0.0	68.6	38.0	0.0	38.0	40.1	0.0	40.1
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	70.1	0.0	70.1
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	0.0	1.9	0.0	1.9	23.2	0.0	23.2	23.2	0.0	23.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0			9.0	9.0		9.0	9.0	
	ხარჯები	0.0	1.9	0.0	1.9	23.2	0.0	23.2	23.2	0.0	23.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,320.3	5,491.6	2,954.6	2,537.0	12,972.8	8,269.4	4,703.4	3,052.1	0.0	3,052.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	83.0	89.0	0.0	89.0	92.0	0.0	92.0	92.0	0.0	92.0
	ხარჯები	1,601.3	1,417.6	164.9	1,252.7	2,791.8	738.3	2,053.5	2,006.0	0.0	2,006.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,715.5	4,074.0	2,789.7	1,284.3	10,181.0	7,531.1	2,649.9	1,046.1	0.0	1,046.1
	ვალდებულებების კლება	3.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	4,572.5	4,135.6	2,921.5	1,214.1	9,700.0	7,284.2	2,415.8	695.0	0.0	695.0
	ხარჯები	79.6	155.6	132.8	22.8	494.6	330.4	164.2	80.0	0.0	80.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,492.9	3,980.0	2,788.7	1,191.3	9,205.4	6,953.8	2,251.6	615.0	0.0	615.0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,434.1	1,293.1	33.1	1,260.0	2,224.8	221.9	2,002.9	2,028.0	0.0	2,028.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	83.0	89.0	0.0	89.0	92.0	0.0	92.0	92.0	0.0	92.0
	ხარჯები	1,420.9	1,253.7	32.1	1,221.6	2,059.1	221.9	1,837.2	1,916.2	0.0	1,916.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11.0	39.4	1.0	38.4	165.7	0.0	165.7	111.8	0.0	111.8

კოდი		2017 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ვალდებულებების კლება	2.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 01	აარჩ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	684.7	770.4	0.0	770.4	937.0	0.0	937.0	937.0	0.0	937.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	83.0	89.0		89.0	92.0		92.0	92.0		92.0
	ხარჯები	681.9	770.0	0.0	770.0	927.5	0.0	927.5	935.2	0.0	935.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.7	0.4	0.0	0.4	9.5	0.0	9.5	1.8	0.0	1.8
	ვალდებულებების კლება	2.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 03	ბინათმშენებლობა	453.8	170.8	32.1	138.7	629.4	221.9	407.5	485.0	0.0	485.0
	ხარჯები	453.8	170.8	32.1	138.7	629.4	221.9	407.5	485.0	0.0	485.0
02 02 04	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6.6	27.2	1.0	26.2	129.5	0.0	129.5	103.0	0.0	103.0
	ხარჯები	4.2	11.6	0.0	11.6	37.0	0.0	37.0	33.0	0.0	33.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.3	15.6	1.0	14.6	92.5	0.0	92.5	70.0	0.0	70.0
	ვალდებულებების კლება	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 05	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	289.0	324.7	0.0	324.7	528.9	0.0	528.9	503.0	0.0	503.0
	ხარჯები	281.0	301.3	0.0	301.3	465.2	0.0	465.2	463.0	0.0	463.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.0	23.4	0.0	23.4	63.7	0.0	63.7	40.0	0.0	40.0
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	219.0	61.6	0.0	61.6	328.2	103.3	224.9	324.2	0.0	324.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	6.1	7.0	0.0	7.0	32.3	0.0	32.3	4.9	0.0	4.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	211.6	54.6	0.0	54.6	295.9	103.3	192.6	319.3	0.0	319.3
	ვალდებულებების კლება	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03 01	საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახაზთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	4.8	7.0	0.0	7.0	32.3	0.0	32.3	4.9	0.0	4.9
	ხარჯები	4.8	7.0	0.0	7.0	32.3	0.0	32.3	4.9	0.0	4.9
02 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	214.2	54.6	0.0	54.6	192.6	0.0	192.6	319.3	0.0	319.3
	ხარჯები	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	211.6	54.6	0.0	54.6	192.6	0.0	192.6	319.3	0.0	319.3
	ვალდებულებების კლება	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03 04	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა		0.0			0.0			0.0		

კოდი		2017 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03 05	ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	103.3	103.3	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	103.3	103.3	0.0	0.0	0.0	0.0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	94.7	0.0	0.0	0.0	710.0	660.0	50.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	94.7	0.0	0.0	0.0	196.0	186.0	10.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	514.0	474.0	40.0	0.0	0.0	0.0
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	0.0	1.3	0.0	1.3	9.8	0.0	9.8	4.9	0.0	4.9
	ხარჯები	0.0	1.3	0.0	1.3	9.8	0.0	9.8	4.9	0.0	4.9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	318.7	249.5	0.0	249.5	305.7	0.0	305.7	320.7	0.0	320.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33.0	33.0	0.0	33.0	0.0	0.0	0.0	38.0	0.0	38.0
	ხარჯები	318.2	238.1	0.0	238.1	298.2	0.0	298.2	312.7	0.0	312.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	11.4	0.0	11.4	7.5	0.0	7.5	8.0	0.0	8.0
03 01	დასუფთავება	318.7	249.5	0.0	249.5	305.7	0.0	305.7	320.7	0.0	320.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33.0	33.0		33.0	33.0		33.0	0.0		38.0
	ხარჯები	318.2	238.1	0.0	238.1	298.2	0.0	298.2	312.7	0.0	312.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	11.4	0.0	11.4	7.5	0.0	7.5	8.0	0.0	8.0
04 00	განათლება	1,800.5	2,015.4	2.2	2,013.2	4,035.9	1,543.4	2,492.5	2,194.3	0.0	2,194.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	348.0	354.0	0.0	354.0	368.0	0.0	368.0	369.0	0.0	369.0
	ხარჯები	1,525.6	1,929.6	2.2	1,927.4	2,448.7	321.3	2,127.4	2,115.5	0.0	2,115.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	273.5	85.8	0.0	85.8	1,587.2	1,222.1	365.1	78.8	0.0	78.8
	ვალდებულებების კლება	1.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 01	აარჩ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	1,422.5	1,753.7	0.0	1,753.7	1,998.0	0.0	1,998.0	1,936.5	0.0	1,936.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	299.0	302.0		302.0	314.0		314.0	315.0		315.0
	ხარჯები	1,355.0	1,747.4	0.0	1,747.4	1,936.5	0.0	1,936.5	1,927.7	0.0	1,927.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	67.5	6.3	0.0	6.3	61.5	0.0	61.5	8.8	0.0	8.8
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	1,371.1	1,176.2	194.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	316.2	316.2	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	1,054.9	860.0	194.9	0.0	0.0	0.0
04 03	აარჩ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	170.7	185.0	0.0	185.0	222.0	0.0	222.0	217.8	0.0	217.8